ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოთხშაბათი, 17 თებერვალი 1910 წ.

№ 12

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
787
3050

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის" კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 36 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 36

ხუთშაბათს, 18 თებერვალს 1910 წ.

ბენეფისი ი. ფ. ზარდალიშვილისა

ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე დოსტოევსკის

დანაშაული და სასჯელი

დრამა 5 მოქ. და 8 სურ. თარგ. შ. დადიანისა

ასრულებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი შ. ზოთაძე.—ბ-ნნი: კ. ანდრონიკაშვილი, გრიშაშვილი, ვ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, იმხნელი, გ. მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე შ. საფაროვი.

ადგ. ფასები ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

21 თებერვალს ბენეფისი ვლ. სარ. ალ.-მესხიშვილისა. წარ. იქნება „**შავი ბერი**".

რეჟისორი: ვლ. ალ.-მესხიშვილი რეჟ. თანაშემწე: ვ. ურუშაძე.

სახალხო სახლი

ოთხშაბათს 17 თებერვალს

ქ-ნი **ვან-ბრანდტის** მონაწილეობით გაიმართება

კონცერტი

ბილეთების ფასები 5 კაპ. 50 კაპ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე თედო დოლიძესთან და აგრეთვე რკინის გზის სახელოსნოში: «სბორნი» ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი" ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი" ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების" დეპოში ნ. ისტეროვთან, ქართველთა გამომც. ამხ. სტამბაში ბ. მიკირტუმოვთან, საქონლის სადგურში გ. ფილიასთან, „ტრამვაიში" ალლაძესთან, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილთან, „შრომის" სტამბაში ნესტორ ცინცაძესთან.

ადმინისტრატორი თ. დოლიძე.

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

ფერშალი

ლეონტი ბარკალაია

ცრის ყვავილს. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგის და ვენერული სენით ავათმყოფებს 3—6 საათამდის.

ადრესი: გოგოლის ქუჩა, № 68.

საშინაო თემაზე

II.

ბ. გოგიჩაიშვილი იმდენათ გატაცებულია თავისი საქმით, რომ იგი მოუწოდებს მთელ ქართველ ხალხს გარდაქმნას მან თავისი ფსიხიკა და მიმართულება თანახმათ ბურჟუაზიის მოთხოვნილებისა. ასე მაგალითათ იგი მოითხოვს ქართველებისაგან მხოლოდ ისეთი სწავლა-განათლება მიიღონ, „რომელიც კარგათ ეგუება სამეურნეო საქმიანობის პროზას". „შედეგი ამისა (დღევანდელი სწავლა-განათლების სისტემისა)—სწერს იგი,—ის არის, რომ ჩვენში ნივთიერი კულტურა ვერ ვითარდება და ეკონომიური დოვლათი არ გვემატება, ახალთაობას სისტემატიურათ ვაშორებთ საეკონომიო ასპარეზსა და იმავ დროს თითქოს გვიკვირს კიდეც, რომ ცხოვრებაში ეკონომიურათ ფეხს ვერ ვიკიდებთ და ნიადაგს ვერ ვიჭერთ. ეს არის ჩვენი მთავარი შეცდომა სწავლა-განათლების საქმეში და *დიდი დანაშაული ერის წინაშე*" (კურსივი ჩვენია). „თუ გვინდა, რომ ჩვენი შრომა ნაყოფიერი იყოს და თანაც პირადი ღირსება: დამოუკიდებლობა, თავმოყვარეობა მცირეოდნათ მაინც შევინახოთ ამ წამხდარ დროში, საჭიროა თავისუფალ, თვით ცხოვრების არსებობისაგან გამოწვეულ საბრძოლველ ასპარეზზე მოღვაწეობაში გამოვიჩინოთ შრომის უნარი და ნიჭი. აი ერთად-ერთი ასპარეზი, სადაც კერძო ადამიანის ძალ-ღონეს, მეცადინეობას შეიძლება ექნეს გასავალი, ამ ჟამათ არსებულ პირობებში არის სავაჭრო-სამრეწველო ნიადაგი"—ბანს აძლევს გოგიჩაიშვილს ნ. თავდგირიძე. *).

ამნაირათ, ამიერიდან ჩვენ გვეცოდინება, რომ სავაჭრო-სამრეწველო ასპარეზზე მუშაობა—ეს უდიდესი ეროვნული მოღვაწეობაა და ქართველი, რომელიც დღეის შემდეგ თავის შვილს არ აღზრდის ვაჭრათ ან მრეწველათ „დიდ დანაშაულობას" ჩაიდენს ქართველი ერის წინაშე, რასაც იმედია, შთამომავლობა არ აპატიებს მას!

ამ რამდენიმე წლის წინათ ბ. ფ. გოგიჩაიშვილმა ცოლ-შვილის ყოლა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობათ გამოაცხადა, ეხლა კი ვტყობილობთ, რომ ქართველის მოღვაწეობა ამით არ თავდება, მან თავისი შვილები უსათუოთ ვაჭრებათ უნდა აღზარდოს თუ უნდა, რომ ეროვნულ მოღვაწეთა რიგში მოყვეს. ამაში უნდა გამოიხატოს გოგიჩაიშვილის აზრით ქართველების გაევროპიელება. სამეურნეო მოღვაწეობა, სიმდიდრის შეძენა—ეს ერთათ-ერთი საშვალებაა ჩვენი ერის ფეხზე წამოსაყენებლათ და გასაძლიერებლათ. „ემსახურეთ ქართული კაპიტალის გაჩენა-გაძლიერებას!" აი მოკლეთ შინაარსი გოგიჩაიშვილისა და კომპ. მოწოდებისა. ამას წინეთ რენეგატ პ. სტრუვეს ცამდე აყავდა ერთი ინტელიგენტი, რომელმაც სამწერლო ასპარეზი მეურნის ხელობაზე გადასცვალა.—„კომბოსტოს მოშენება უფრო უმჯობესია, ვინემ კარგი წიგნების წერაო!" აი პ. სტრუვეს ლოზუნგი. ამიტომ იგი ამ უკანასკნელ ხანებში იმის ცდაშია, რომ რუსეთის ინტელიგენცია დუახლოვოს ვაჭარ-მრეწველთა კლასს და ხელი აიღებინოს მას ძველ გზასა და ძველ გატაცებებზე. და ეს საჭიროა, მისი აზრით, იმიტომ, რომ განხორციელდეს იდეია „დიდებული რუსეთისა". როგორც ხედავს მკითხველი, ორიგინალობა ჩვენ ქართველ სტრუვეს—ფ. გოგიჩაიშვილს არ ეკუთვნის. აქ გოგიჩაიშვილი და კომპ. იმეორებს პ. სტრუვეს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველთ ბურჟუაზიის სამსახური დაუსახავთ ქართველობის გასაძლიერებლათ, ეროვნული საქმის წარმატებისათვის, ხოლო მეორეს—„დიდებული რუსეთის" გასახორციელებლათ. „ქართული ეროვნული საქმე", „დიდებული რუსეთი"—ეს ასე ვთქვათ—სიტყვის დასაშვენებლათაა ნახმარი, ნამდვილათ კი, ეს ვითომდა ახალი ლოზუნგი მოუწოდებს ინტელიგენციას კაპიტალის ერთგული სამსახურისაკენ.

მარა მკითხველმა აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, თითქოს „ჩვენ ეროვნულ მოღვაწეთ" სისწორით ქონდეთ შეგნებული და გათვალისწინებული თვით იმ კლასის ინტერესები, რომლის დამცველათ ისინი გამოდიან, ე. ი. ბურჟუაზიის ინტერესები. მათ აქვთ მხოლოდ განუსაზღვრელი სურვილი ემსახურონ ამ კლასს, რამდენათ ახერხებენ ამას ეს სხვა საკითხია. რისთვის არ ვითარდება ჩვენში ნივთიერი კულტურა? რისთვის არ არსებობს ვაჭარ-მრეწველთა ძლიერი კლასი, ან სხვანაირათ რომ ვთქვათ, რატომ ასე ნელის ნაბიჯით მიდის ეკონომიური განვითარება? ამ კითხვას გოგიჩაიშვილიც სვამს თავის წერილებში. იგი ასე უპასუხებს დასმულ კითხვაზე: „ჩვენის აზრით, ჩვენი ეკონომიური დაბრკოლების წყაროები ოთხ უმთავრეს დარგათ შეიძლება დავანაწილოთ: 1) დროს ჩამორჩენილი საეკონომიო აზროვნება ქართველობისა, 2) „აზნაურული" ფსიხიკა, 3) პატრიარქალური ჩვეულებათა ნაშთი და 4) სუსტი ინდივიდუალობა (იხ. „საქ. მოამ.) № 6—. „ჩვენ და ცხოვ.") როგორც თვითონ ავტორი ამბობს, ქართველობის ამ ინდივიდუალურ თვისებებით აიხსნება ვაჭრობა-მრეწველობის განუვითარებლობა ჩვენში.

მართალია ეს? არა.

რატომ?

შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებს ქონდეს სულ ცოტა მნიშვნელობა, მარა ეკონომიური წარმატების ხელის შემშლელი მთავარი მიზეზი სულ სხვაგან მარხია.

ეს არის რუსეთის საერთო პოლიტიკური წყობილება და ის ბატონ-ყმური ნაშთები, რომლებიც ასე ბლომათაა როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. მართლაც, ქართველობა ხომ ცალკე პოლიტიკურ და ეკონომიურ ერთეულს არ შეადგენს? იგი ნაწილია რუსეთის სახელმწიფოს და ამიტომ მაზედ გავლენა აქვს იმავე მიზეზებს, რომლებიც საზოგადოთ ხელს უშლიან რუსეთის ცხოვრების განვითარებას. ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის განუვითარებლობა აწუხებს არა მარტო ქართველობას, არამედ მთელ რუსეთს და როგორც ვთქვით, ამის მიზეზი არის ძველი დახავსებული ცხოვრება. ამიტომ რუსეთში უფლებრივი წყობილების დამყარება და ფეოდალური ნაშთების მოსპობა მოზარდი ბურჟუაზიის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. პირიქით, მისი განვითარება ამის შემდეგ სწრაფი ნაბიჯით წავა წინ. ჩვენებური ახალ მოდის მქადაგებელნი სწორეთ სპილოს ვერ ამჩნევენ. რამდენათაც ლაპარაკია ქართველების ნივთიერ კულტურის განვითარებაზე—აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მთელი ქართველობა, არამედ მისი მქონებელი ნაწილი. ამ უკანასკნელისათვის კი საერთო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური პირობები ისევე სულის შემხუთველია, როგორც რუსეთში არსებულ სხვა ერების ბურჟუაზიისთვის.

ამიტომ მოსალოდნელი იყო ჩვენი ნაციონალური კაპიტალის ქომაგნი ამას ყურადღებას მიაქცევდენ, მარა ჩვენ ვხედავთ სულ წინააღმდეგს. მაგ. ბ. ნ. თავდგირიძე თავის წერილში, სადაც იგი მოუწოდებს ქართველობას ვაჭრობა-მრეწველობას მოჰკიდონ ხელი, სხვათა შორის სწერს: „ყოველივე შეძენილი კაპიტალი ჩვენს ხალხს ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ხელიდან გამოეცალა".. ამისთანა დროს ხალხის ერთგული მოწინავე თაობა, საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი დღე და ღამე გამოიგონებს საშვალებას ხალხის განსაცდელისაგან გამოსახსნელათ, „ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში კი ამ დროს ქართველი საზოგადოების აზრთა ხელმძღვანელნი, უმეტეს შემთხვევაში, იმას აქცევენ ყურადღებას, თუ ვინ რომელ სკამზე დაჯდა სახელმწიფო საბჭოში, ან სათათბიროში." და შემდეგ „მწარე ცხოვრების გამოცდილებისაგან ის აზრი გამოვიტანე,... რომ იმ ჩვენებურ საზოგადოებრივ დაწესებულებასაც ზურგი უნდა შევაქციოთ, რომლის ბედ-იღბალი, კეთილდღეობა დამოკიდებულია ჩვენი ხალხის მოპირდაპირე მოწინააღმდეგე ადამიანებისაგან." გასაგებათ რომ გამოვსთქვათ, ავტორს აქ იმის თქმა უნდა, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, საინტერესო არ არის პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობა, სახელმწიფოში მებრძოლ ძალთა გამოანგარიშება და სხვ. ერთათ ერთი ჩვენი სამოქმედო ასპარეზი—ეს ვაჭრობა-მრეწველობაა. გავანებოთ თავი პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას, საერთო პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე თავის ტეხას, ეს ჩვენი საქმე არ არის. ასეთი რეაქციონური აზრის მქადაგებელნი ამის შემდეგ კიდევ გაიძახიან ჩვენ ქართველი ხალხის ინტერესებს ვიცავთო! ალბათ, ამ „მეშჩანურმა" და თანაც რეაქციონურმა ქადაგებამ უნდა დაიკავოს იმ მოძღვრების ალაგი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ჩვენ „ეროვნულ მოღვაწეებს". მარა ამაზე სხვა დროს.

ნ. ხ.

---

*) იხ. „საქ. მოამ." № 13, მისი სტატია: „ჩვენი საზოგადოების საყურადღებოთ".

სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპეშ.)

14 თებერვალი.

თავმჯდომარეობს ხომიაკოვი. განაგრძობენ კამათს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. მინისტრთა ლოჟაში ზის ფინანსთა მინისტრი. ლაპარაკობს დეპ. მიაგკი. მისი აზრით უმთავრესათ ფული იხარჯება არა ხალხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, არამედ უნაყოფო ხარჯებისთვის. მეოთხედი გადადებულ ფულებისა მიდის სახელმწიფოს დასაცავათ, მარა ამავე დროს ჩვენ უძლური ვართ გავუმკლავდეთ პატარა სახელმწიფოებსაც. 107 მილიონ მანეთიდან ომში დასახიჩრებულთა პენსიაზე იხარჯება ათი მილიონი მ. დანარჩენი კი ჯარის „ჩინოვნიკებისთვის," 36 მილიონი მან. მიდის სამღვდელოების შესანახათ, რომელიც განაგრძობს გლეხების ზურგზე ანაგლეჯ ფულებით ცხოვრებას, ხალხის განათლებისათვის გადადებულია მხოლოდ 76 მილ. მან., ხოლო პოლიციისათვის—100 მილიონ მანეთამდე იმ დროს, როცა მთელი რუსეთი გაუნათლებლობის წყვდიადით არის გარემოცული. რაც შეეხება მოსავალს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა, ეს ხომ არ არის იმის მაჩვენებელი, რომ მთავრობა ზრუნავს ხალხის მეურნეობის გასაუმჯობესებლათ რუსეთისა და რუსეთის ფინანსების საქმის სწორ გზაზე დაყენება—ათავებს ორატორი—შეუძლია მხოლოდ ნამდვილ ხალხის წარმომადგენლობას მთელი მხარისავე დახმარებით (ტაში მარცხნივ). ეპისკ. მიტროფანე სკოლებისათვის ხარჯის გადიდებაში ხედავს დიად მოვლენას. ის ამბობს, რომ სამრევლო სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი მატერიალურათ, რის გამო სამღვდელოება, რომელიც მზათ არის ემსახუროს ხალხის განათლების საქმეს, უძლურია საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენოს საჭირო თანხის უქონლობის გამო. შინგარიევი საჭიროთ სცნობს გამოირკვეს დამოკიდებულება ქვეყნის ფინანსიურ და სახელმწიფოს მმართველობის საკითხს შორის. ის ეხება ფინანსთა მინისტრის სიტყვებს, რომლის აზრითაც მოსალოდნელი ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ახალი გადასახადებით როგ. მაგ., სამგზავრო ბილეთებზე ფასის მომატება, და ფიქრობს, რომ ეს ახალი გადასახადები ცოტა იქნება ხარჯების დასაფარავათ. შემდეგ შინგარიევი აღნიშნავს, რომ დუმის საყვარელ საზრუნავ საგნისთვისაც, ხალხის განათლებისათვის, ცოტაა გაკეთებულიო. თუმცა ხარჯები გადიდებულია, მარა ამ მხრივ რუსეთი, რომელიც მხოლოდ სამ აბაზს იხდის სულზე, მაინც ძლიერ ჩამორჩა სხვა სახელმწიფოებს. დაპირებულ 6 მილ. მანეთიდან სასკოლო საამშენებლო ფონდისათვის, მთავრობამ ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა მხოლოდ ოთხი მილიონი. ხარჯები ადგილობრივ კულტურულ საჭიროებათა, რომელიც მხარის მაცოცხლებელ ძარღვს წარმოადგენს, სრულებით მივიწყებულია. ხაზინის გაქურდვა კვლავ არსებობს, რევიზია ყოველგან ხდება, მარა დასასრული არ უჩანს მას, შედეგები არა არის რა, ვინაიდან მთავრობა ნიშნავს რა რევიზიას, პროტესტს აცხადებს დამოუკიდებელ კანტროლის წინააღმდეგ (ტაში მარცხნით და ცენტ. ნაწ.). შემდეგ ორატორი გადადის მთავრობის საერთო პოლიტიკაზე და სთხოვს თავი დაანებონ ფინლიანდიისა და პოლონეთის წინააღმდეგ ნაციონალური შულლის თესვას და მუსულმანთა სკოლების დახურვას. დასასრულ ორატორს მოყავს სიტყვები: „17 ოქტომბრის მანიფესტი და მისი მნიშვნელობა რუსეთის ხალხისთვის" დაბეჭდვის საჭიროებისთვის რამდენიმე ასი მანეთის გადადების შესახებ და სთხოვს მთავრობას თავისუფლათ გატარებას მანიფესტის სახელმწიფოს ცხოვრებაში, მაშინ სახალხო წარმომადგენლობა გეტყვისთ: „დიახ, ეს შეთანხმებული მუშაობაა" (ხანგრძლივი ტაშისცემა მარცხნით და ცენტრიდან). ნეკრასოვი ციმბირის დეპუტატთა ერთი **ჯგუფის** სახელით მოითხოვს სავაჭრო ბაზრების დაახლოვებას ციმბირში მეურნეობის განვითარების გამო. შემდეგ ორატორი საჭიროთ სცნობს სამრეწველო ძალთა განვითარებას ციმბირში, მიწის დამუშავების საქმის წინ წაწევას, მიწებით სარგებლობის ნორმის შემუშავებას, ძველ მცხოვრებთა (старожили) და ახალ გადმოსახლებულთ შორის დამოკიდებულებათა მოწესრიგებას და სხ.. გრაფი ბობრინსკი მეორე უპასუხებს შინგარიევს. ის ამბობს, რომ კადეტები მოწადინებული არიან შეასუსტონ სათანადო შთაბეჭდილება, რომელიც იგრძნეს მათ უდეფიციტო ბიუჯეტით. ფინანსთა მინისტრი განმარტავს თავის აზრს და ფიქრობს, რომ მემარცხენე დეპუტატების ერთათ ერთი მიზანი არის, რომ გააქარწყლონ ის დიადი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენლის მოხსენებამ. ჩვენს ხარჯთ-აღრიცხვიდან საერთოდ არ შეიძლება განცალკევებულ იქნას ნაყოფიერი ხარჯები უნაყოფოსაგანო. ბერეზოვსკი მეორეს უნაყოფოთ მიაჩნია ბიუჯეტის შესახებ საერთო კამათი, ის პროტესტს აცხადებს შინგარიევის სიტყვების შესახებ, თითქო მემარჯვენეები ოცნებობდენ სახელმწიფო დუმის მოსპობას. შემდეგი სხდომა დანიშნულია სამშაბათისთვის.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. როგორც რეიტერს აცნობებენ, არჯილანგიდან დღია-ღამე აღარ ფოქ-

რობს მიმართოს დახმარებისათვის ინდოეთის მთავრობას. მან გამოთხოვა ინდოეთში პეკინში წასასვლელათ, სადაც განზრახვა აქვს საჩივარი აძრას ჩინეთის მთავრობის წინაშე.

ველლასი (ალასკის შტატი). 14 თებერვალს ცეცხლის მფრქვეველ მიწისაგან ამოვარდა ცხელი ლავა. ქვეშ მოყვა 75 კაცი.

ბომბეი. ცეცხლმა შთანთქა აუარებელი სასიმინდეები. ზარალი 133,000 გირვანქა სტერლინგს აღწევს.

ბერლინი (ლანდტაგი). სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს პოლიტიკურ საიდუმლო პოლიციის გაუქმება. სოც.-დემ. გირშმა განაცხადა: როცა ლანდტაგი ფულს გადადებს პოლიციის შესანახათ, ამით ის თავს იღებს ჯაშუშობის პასუხისმგებლობას. თავმჯდომარე წესიერებისაკენ მოუწოდებს ორატორს. ხანმ-ოკლე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა სესხი საიდუმლო პოლიციისათვის.

„ფოსიშე ცაიტუნგი“ იუწყება ათინიდან: 6 კრეტელი მუსულმანი, ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის გამოჩენილი წევრები, მთავრდენ სტამბოლში ვენიზელოსთან მოსალაპარაკებლათ იმის შესახებ, თუ რამდენათ მოსახერხებელია ოსმალ-ბერძენთა შეთანხმება კრეტოსის საკითხში.

ნიუ-იორკი. ვალლასში ცხელ ლავისაგან დასახიჩრებულთაგან გადაარჩინეს 25 კაცი. ფიქრობენ, დაიღუპა 100.

ფილადელფია. მუშათა ცენტრალურმა კავშირმა, რომელშიაც შედის 125,000 კაცი დაადგინა, გაფიცულ ტრამვაის მოსამსახურეებისთვის თანაგრძნობის გამოცხადების ნიშნათ გაიფიცონ 20 თებერვალს.

რუსეთი.

კიევი. ხოტინცევმა, რომელმაც ინტენდანტსტვოს რევიზია მოახდინა, გაჩხრიკა მოხელე ტიხონოვი. იპოვეს გასამტყუნებელი მიწერ-მოწერა.

ტაგანროგი. კრინდაჩევსკის სამრეწველოს ამხანაგობის მუშებმა განაახლეს მუშაობა. ისინი გაფიცული იყვენ 1 ნახევარ თვის განმავლობაში ჯამაგირების მიუღებლობის გამო.

ბრესტ-ლიტოვსკი. ვილნოს სამოსამართლო პალატამ, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის წევრობისათვის და გაფიცვის მომწყობ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებისათვის 1905 წ., ორ მოხელეს მიუსაჯა 4 თვის ციხე, ოთხი გაამართლეს.

ალექსანდროპოლი. 14 თებერვალს სად. პოლოგზე მოკლეს უფროსი სტრაჟნიკი.

პეტერბურგი. სტავროპოლში მოხსნილ იქნა საგანგებო დაცვის წესები.

ბაქო. დაიწვა საზოგადოება „შიხოვო“-ს სამი საბურღავი მანქანა. ზარალი 25,000 მანეთამდე.

ოსმალეთი

სალონიკი. კარაჯალგის კაზაში მოხდა შეტაკება ბოლგარეთის რაზმელთა და ოსმალეთის ჯარს შორის. ბოლგარელებს მოუკლეს 3, 3 ტყვეთ წაიყვანეს.

სტამბოლი. „ერთობისა და პროგრესის“ ფრაქციის კრებამ, ფრაქციის 150 დეპ. თანდასწრებით აარჩია ახალი ბიურო, ყოფილ პრეზიდენტის ხალილ-ბეის ხელმძღვანელობით. პარტიაში კვლავინდებურათ უმრავლესობა ფრაქციის წევრებია.

— გაზეთები ისევ განაგრძობენ წერილების ბეჭდვას ცარსკოე სელოს სადღეგრძელოების შესახებ. რუსეთის პრესასთან კამათის დამახასიათებელია ყოფილი ვეზირის ქიამილ-ფაშის ორგანოში, „იენი გაზეტაში“ მოთავსებული წერილი. ის პასუხს აძლევს „ნოვოე ვრემიას“ და მადლობას უძღვნის რუსეთის პრესას, რომელმაც თვალები აუხილა ამით, ვისაც სწამთ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრული განწყობილება. მეორე წერილში „იენი გაზეტა“ პანსლავიზმის განვითარების გამო მოუწოდებს ოსმალეთს დაუახლოვდეს გერმანიას.

წერილები თავრიზიდან

საერთო მდგომარეობა.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ფრიად საინტერესო და რთული წამია დღეს ირანში. პირველი რევოლიუცია თითქმის დამთავრდა. მართვა-გამგეობას დაეპატრონენ არა ისინი, ვინც უმთავრესათ ბარიკადებში სისხლს ღვრიდენ ფიზიკურ ძალას შეადგენდენ, არამედ ვინც ქონებრივათ შეძლებული იყვნენ და ვისაც გავლენა ქონდათ საუკუნოებით დამონებულ ხალხში...

ამან დაბადა და გაამეფა სასოწარკვეთილება ხალხში, ბევრ რევოლიუციონურ პოლიტიკოს-პარტიებს დავთარი აურია, უიმედობაში ჩააგდო, ზოგიც „ჭკუაზე შეშალა“, ნერვები აუშალა და გაიძახიან: განა ამისთვის ვღვარეთ სისხლი, რომ ჩვენ ზურგზე არისტოკრატია, მემამულე და სამღვდელოება გამეფებულიყო? განა ღირდა ამისთვის „რევოლიუციის მომოხდენაო“?!.

ჩვენ, რასაკვირველია, ასეთ შეხედულება-„დაბნევას“ არ განვიცდიდით და აღფრთოვანებული ვამბობთ: დიახაც რომ ღირდა სისხლის ღვრა და ეს აუცილებელი კანონი იყო ირანის ცხოვრების განვითარების... ის, რაც დაემხო, მისი აღდგენა სამუდამოთ აღარავის ძალუძს.. საშინელი საწამებელი იარაღები, რომლებიც რევოლიუციონურ ხალხმა დალეწა, დასწვა და დაამსხვრია, მისი ხელახლა შემოღება ცხოვრებაში არავითარ ძალას არ შეუძლია; სამღვდელოების ძლიერი გავლენა შეილახა, ფანატიზმი—ცრუმორწმუნოება—შერყეულია. ახალი ცხოვრება მძლავრათ მიარღვევს ყოველგვარ დაბრკოლებას და ვინც „გადაბრუნებას“ ფიქრობს, ის შემცდარია; ვისაც ეგონა ფეოდალური წესწყობილება, „სამოთხეთ“ შეიცვლებოდა, მას თანდათანი განვითარება არ სწამს ცხოვრების; ვისაც დღეს მარტო უფაქტო, შეუსაბამო გამოსვლით და ტერორით სურს „გადააბრუნოს“ ირანის ცხოვრება, ის ცდება ისე, როგორც სიცოცხლით და ენერგიით აღსავსე ავგუსტ ბლანკი ცდებოდა 33 წლებიდან მოყოლებული ვიდრე ღრმა მოხუცება-სიკვდილამდე ..

სპარსეთის რევოლიუციის მომძრავებელი ძალები დღემდის ერთად შეერთებული რევოლიუციის პირველ გამარჯვებისათანავე (ბარიკადებზედაც შეეტყო ეს) გაითიშა და სხვა და სხვა სახით ცხოვრების უფსკრულში გადაეშვა—კლასებათ დაიყო; (რასაკვირველია, ძლიერ მკრთალათ ჯერ-ჯერობით) ის აქ ერთდება და რომ კვლავ ცხოვრების ზედა პირზე ამოტივტივდეს, იმდენათ მომწიფდეს, რომ „რევოლიუციის მოხდენა“ შეძლოს, ამისთვის დიდი დროა საჭირო და ვინც ამას უარს ყოფს, მან რევოლიუციის მსვლელობა არ იცის, უდროვო გამოსვლებით ასუსტებს ახალ ჩასახულ ძალებს, რომლებიც ერთდება დღეს და მტერ-მოყვარის (კლასების) გარჩევას ეხლა ცდილობს...

როგორია ეს კლასები? ვის ხელშია დღევანდელი მთავრობა? როგორ იქცევიან „გუშინდელი“ აგიტატორ-რევოლიუციონერები, რომლებიც ბარიკადებში იბრძოდენ? რას ქადაგებს დღეს სამღვდელოება, რომელიც ძლევა-მოსილ ხალხს მოემხრო რევოლიუციის დროს? რა საფეხურზე დგას ბურჟუაზია და რატომ მართვა-გამგეობა ვერ ჩაიგდო ხელში დღემდის? რა ძალა აქვს რეაქციას? როგორ იქცევიან პარტიები? რატომ ვაამარტოვეს დემოკრატია და რათ ამხედრდენ სამღვდელოება —ხან მემამულეები სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ, როდესაც რევოლიუციის დროს „ყველა“ მათ სახელს ფიცულობდა და მათ მიტინგ-დროშის ქვეშ დადგომას „ყველა“ ცდილობდა? როგორ იქცევიან თავრიზის გმირნი სათარ-ხან—ბარიგ-ხანი?..

აი კითხვები, რომელზედაც პასუხი უნდა გავცეთ. ეს მთელი ისტორიაა, ეს ერთი უმთავრესი წამის დახასიათებაა რევოლიუციონურ დროში, რომლითაც შეიძლება ბევრი თავ სატეხი კითხვის განათება საზოგადოთ... ჩვენ გვესმის მისი სირთულე, მოვალეობა, მარა იმ მრავალ საბუთების დალაგებას, წეს-რიგში მოყვანას არ ვუცდით, რომელიც ხელთა გვაქვს, ან ძლიერ შაბეჭდილებით ვატარებთ; ჩვენ მდგომარეობაში, თუ მკითხველი საზოგადოება არა, ის თითო-ოროლა მეგობრები უნდა შევიდენ და წარმოიდგინონ რა „ხელ-წამოკრულათ“ ვწერთ წერილებს...—დიახ, ჩვენ ვჩქარით ჩვენდა დამოუკიდებლათ რადგან ოახლოებულ არს...და ვლოცულობთ: „განგებავ აგვაშორე სასმელი ესე“...

და რადგან სწორეთ დღევანდელი ირანის მდგომარეობა ძლიერ საინტერესოა „ჩვენი მკითხველისთვის“, რადგან სამკალი ფრიად არს, და მომკალი მცირედ, ამიტომ ვისწრაფვით თუმცა გაბნეულათ, უწესრიგოთ, მარა მაინც მივაწოდოთ და გავაცნოთ მკითხველთ ზოგი რამ ირანის ეხლანდელ ცხოვრებიდან...

გლასა მგელაძე.

(შემდეგი იქნება).

* * *

ცელქმა ნიავმა მდელო ჩავარცხნა,
თან სევდისა ფრთამ ჩაიტირ-კვნესა:
იქ ნაკადულის ბუტბუტს მიეწნა,
აქ ნორჩ ყვავილის მიექდო ყელსა..
მძინარე არეს თავს წასისინა,
გულ მგლოვიარე გრძნობით ჩაკოცნა,
ქმუნვა მოსტაცა, ფრთებზე შეისვა
და გასაფანტათ შორს გადატყორცნა...
ყურ მომხვდა იგი—მშრომელთა სევდა:
გული დაღარა, ულვთოდ დასერა
და სამუდამოთ ცელქმა ნიავმა
ის კაეშანი გულს ჩამიწერა...

. . . .

გრძნობის მეუფემ ჩანგს დაატირა,
სიმი გრძნეული ააქვითინა,
გულის ამჩუყი ამონაკვნესი
შორს გადისროლა, არეს მიფინა...
უენოს, მეტყველს ცრემლი ადინა
ჰანგმა გულწრფელმა, ჰანგმა მწუხარემ...
წყნარ მოჰიკჰიკის სევდიან ხმაზე
ამოიგმინა მშრომელთა მხარემ...
ყურს მომწვდა იგი, გმინვა მაშვრალთა—
გული დაღარა, ულვთოდ დასერა
და სამუდამოთ ბულბულის ჰანგმა
ის სევდის კილო გულს ჩამიწერა...

ვ. მალაქიაშვილი.

ახალი ცირკულიარი.

„უმაღლესათ დამტკიცებულ 1906 წ. 4 მარტის საზოგადოებათა და კავშირების შესახებ დროებითი წესების გამოცემის შემდეგ, „ინოროდცებში“, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, დაიწყო განსაკუთრებული მოძრაობა კერძო ეროვნებათა კულტურულ-განმანათლებელ განვითარებისაკენ ვიწრო ეროვნულ-პოლიტიკურ თვითშეგნების ნიადაგზე.

ეს საზოგადოებანი, აშკარაა, ხელს უწყობენ ნაციონალურ განცალკევებას და შუღლს და ამიტომ აღიარებული უნდა იქნენ საშიშრათ, როგორც საზოგადოებრივი მშვიდობიანობის და წესიერების დამარღვეველნი, როგორც ეს უმართებულესმა სენატმა განმარტა მთელ რიგ დადგენილებებში (უქაზი 18 ივნ. 1908 წ. № 9,120 უკრაინის საზოგად. „პროსვიატის შესახებ, 4 ეკენის. 1909 წ. № 8,397 პოლონურ საზოგად. „ოსვიატას“ საქმის შესახებ და სხვ...)

ყოველივე ზემოთ მოხსენებულის გამო, მე, 1906 წ. 4 მარ. კანონის 1 პ. მე-6 მუხლის თანახმათ, შეუძლებლათ მიმაჩნია ასეთ საზოგადოებათა დაარსება და საჭიროთ ვთვლი ვაუწყო თქვენ აღმატებულებას რომ ინოროდცების საზოგად მათ რიცხვში უნდა ჩაითვალონ უკრაინელთა და ებრაელთა საზოგადოებანი დამტკიცების შესახებ აღძრულ შუამდგომლობათა განხილვის დროს, მიუხედავათ იმისა, თუ რა მიზანს მისდევენ საზოგადოებანი, ადგილობრივ საზოგადოებათა საქმეების საკრებულო ვალდებულია ყოველ კერძო შემთხვევაში დაწვრილებით შეჩერდეს იმ კითხვაზე, ისახავს თუ არა ასეთი საზოგადოება ზემო დასახელებულ მიზანს და თუ კითხვა დადებითათ გადაწყდება, იმ შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა უარი ეყოთ წესდების დამტკიცებაში, უმართებულესი სენატის ზემოთ მოყვანილი განმარტება თანახმად.

ამას გარდა თქვენ ამ ჟამათ დაახლოვებით უნდა გაეცნოთ უკვე არსებულ ინოროდცების საზოგადოებათა მოქმედებას და სათანადო შემთხვევაში შუამდგომლობა უნდა აღძრათ უმაღლესი მთავრობის წინაშე მათი დახურვის შესახებ.

ეს ცირკულიარი დაეგზავნათ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გუბერნატორებს სისრულეში მოსაყვანათ.

ახალი ამბები

ინგლისელები კავკასიაში. გაზ. „უტრო“ სიტყვით ამ ჟამათ ლონდონში არსდება საექსპლოატაციო კომპანია, რომლის მიზანია დაამუშაოს ეგრეთ წოდებული „აფხაზეთის ვერცხლის მთა“. ეს მთა შავი ზღვის ნაპირათაა 28 ვერსის მანძილზე დაბა გუდაუთიდან ვაგრასა და ახალ აფონს შორის, სადაც გემები ადვილათ ჩერდება და იტვირთება. კამპანიის საქციონერო თანხა 2,000,000 მ. უდრის. აფხაზეთის მთაში აღმოუჩენიათ ნავთი, რკინა, სპილენძი, ტყვია, ცინკა და სხვა ლითონები. გადაწყვეტილია, გუდაუთიდან ხსენებულ მთამდე გაიყვანონ არხი და მოაწყონ ნავთსადგური. ამ ჟამათ გუდაუთი წარმოადგენს პატარა სოფელს, რომელიც ირგვლივ დაფარულია თუთუნის პლანტაციებითა და პურის ყანებით.

◆ **ქალაქის საბჭო** ორშაბათს, 15 თებერვალს შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. რამდენიმე წვრილმანი საკითხების გარჩევის შემდეგ საბჭომ მოისმინა მოხსენება ქალაქის განათების შესახებ. გარკვეული იყო საკითხი, ქალაქის განათება მოიჯარადრეებს მიენდოს თუ თვით ქალაქმა მოაწყოსო. გადაწყდა, ქალაქის განათება თვით ქალაქმა მოაწყოს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ** უკანასკნელ მორიგ სხდომაზე დაადგინეს: კვირას, 21 თებერვალს სახალხო სახლში ვერესოვის ლექციის დაწყებამდე გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ არტისტ ვ. თ. კომისარჟევსკაიას

სახელმწიფო დუმა.

დეპუტატ ჩხეიძის სიტყვა კავკასიაში გადასახლების შესახებ.

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან.)

გადასახლების საკითხის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკი ჩვენ მაშინ მოგვიხდება, როდესაც გადასახლების სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვას განვიხილავთ. ამ ჟამათ-კი თქვენს ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ ზოგიერთ დებულებას. როგორც თქვენდამი წარმოდგენილ კანონ-პროექტიდან სჩანს, კავკასიის დასახლების საკითხი, გადასახლების საქმე კავკასიაში ფრიად მნიშვნელოვან საკითხათ ითვლება. ასეთივე შეხედულებისაა ამ საკითხის შესახებ სახელმწიფო დუმა და სახელმწიფო საბჭო. ეს შეხედულება მოთავსებულია განმარტების ფურცელში, რომელიც გადასახლების ხარჯთ აღრიცხვას თან ახლავს. ამ საკითხის მნიშვნელობა აქ დღესაც დაამოწმეს. სახელმწიფო დუმის წევრმა ბერეზოვსკი მე-2-მ აღნიშნა, რომ ეს საქმე, რომელიც თან და თან ვითარდება, დიდი სახელმწიფოებრივი საკითხია. ამავე შეხედულებისა, მაშასადამე, სახ. დუმა და სახ. საბჭოც. ეს არა ერთხელ აღნიშნულა. კავკასიის მცხოვრებნიც იმ აზრისა არიან, რომ გადასახლების საქმე ადგილობრივ მცხოვრებთათვის ერთ საჭირბოროტო, ფრიად მნიშვნელოვანათ ითვლება, რომელიც ძირიანათ ეხება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს. ამ აზრთა ერთგვარობის გარდა, სხვა და სხვა წრეებში შეხედულობათა განსხვავებაც არსებობს იმ დანიშნულების შესახებ, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს გადასახლების საქმე კავკასიაში. მე არას ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა მიზანს ემსახურება ეს საკითხი ციმბირში, რაც შეეხება კავკასიას—თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ კავკასიის მცხოვრებლემა უკვე შეადგინეს განსაზღვრული შეხედულება და დამოკიდებულება ამ საქმისადმი. უწინარეს ყოვლისა, ეჭვს გარეშეა, ბატონებო, რომ კავკასიაში გადასახლების საქმეს არაფერი საერთო არა აქვს იმ მრავალ რიცხოვან უბედური გლეხების ცხოვრების პირობების მოწესრიგებასთან, რომლებსაც რუსეთის შუაგულ გუბერნიებიდან ასახლებენ. ჯერ კიდევ გასულ წელს მე ოფიციალური საბუთებით დაგიხატეთ ის მდგომარეობა, რომელშიდაც იმყოფებოდენ ამ ორი წლის წინათ გადასახლებულნი კავკასიაში. არც მთავრობის წარმომადგენელის, არც სახელმწიფო დუმის წევრს—არ უარ უყვია ის, რაც მე კავკასიაში გადასახლებულთა მდგომარეობის შესახებ ვსთქვი შარშან. მე თქვენ მოგიყვანთ ამონაწერს ერთი ოფიციალური დოკუმენტიდან, არა ახლა არამედ, როდესაც მეორეთ შემთხვევა მექნება, ამ ჟამათ კი ამ ოფიციალური დოკუმენტის დასკვნას გაგაცნობთ. მე შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ მცირე გამონაკლისს გარდა, თითქმის ყველა გადასახლებულთა შორის დიდი უკმაყოფილებაა, და მოხელეებს ბევრი ენერგიის დახარჯვა სჭირდებათ, რომ გადასახლებულთ უკანვე დაბრუნების განზრახვაზე ხელი აიღებინონ. ბატონებო, თქვენ დღეს მოისმინეთ ასეთი შეხედულება. როდესაც სახ. დუმის წევრი დზიუბინსკი ამ ტრიბუნაზე გამოვიდა და აღნიშნა ის უწესობა, რომელიც გამეფებულია გადასახლების საქმეში,—აქ დეპ. დზიუბინსკის საწინააღმდეგოთ გვითითებდენ ერთი მოხელის ცნობაზე, რომელიც გადასახლების საქმის მოსაწყობათ იყო კავკასიაში გაგზავნილი. სახ. დუმის წევრის შეხედულობას დაუპირდაპირეს გადასახლების სამმართველოს მოხელის შეხედულება და ამნაირათ, გააქარწყლეს დზიუბინსკის ცნობა და დაამტკიცეს მისი სიყალბე, მაგრამ როდესაც შარშან და წელსაც მე ნამესტნიკის უქვეშევრდომილესე მოხსენებაზე მიგითითეთ, არავინ საჭიროთ არ დაინახა უარეყო მოხსენებაში მოყვანილი ცნობები. ცხადია, უწყების წარმომადგენლის თვალში კავკასიის ნამესტნიკის აზრს უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მოხელის აზრს, რომელიც ამას წინათ იქნა გაგზავნილი გადასახლების მოსაწესრიგებლათ. მე არ შევეხები იმას, თუ ვისი შეხედულება უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის. ყოველ შემთხვევაში, უწყების წარმომადგენლისათვის უნდა არსებობდეს ეს განსხვავება. თუ თქვენ ინებებთ, ბატონებო, მე ახლავე შემიძლია დაწვრილებითი ცნობები მოგაწოდოთ ამ წყაროდან. ბატონებო, მე აღვნიშნავ, რომ გადასახლების საქმე კავკასიაში, ამ მხარის დასახლების საკითხი სრულებითაც არ ემსახურება იმ მიზანს, რომ შიდა გუბერნიებიდან გადასახლებულთა არსებობა ასატანელი შეიქნეს. რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებლათ მე თქვენ გაგახსენებთ იმ ფაქტს, რომელსაც მე ერთხელ კიდევაც შევეხე ამ ტრიბუნიდან. 8,000 მკვიდრ რუსთა ოჯახი, რომელიც კავკასიაში გადაასახლეს, შემდეგ ისევ უკანვე გამოდენეს. ეს იციან დღეს არა თუ რუსეთში, არამედ კანადაშიდაც კი, სადაც ეს რუსეთის მკვიდრნი იძულებული შეიქნენ გადასახლებულიყვენ. ეს ფაქტი აშკარათ მოწმობს იმას, რომ გადასახლების საქმეში გადასახლებულთა კეთილდღეობაზე კი არ ზრუნავენ, არამედ —პოლიტიკურ მიზანს მისდევენ. ასე ვუყურებ ამ საქმეს არა მარტო მე. მე ვფიქრობ, რომ ამნაირათვე უყურებს ამ საქმეს სათანადო უწყებაც, ამნაირათვე უყურებს, ჩემი აზრით, ამ საქმეს საბიუჯეტო კომისიაც. თუ თქვენ ყურადღებას მიაქცევთ გადასახლების ხარჯთ-აღრიცხვის განმარტებით მოხსენებას, თქვენ ნათლათ დაინახავთ, რომ გადასახლების საკითხი ემსახურება უმთავრესათ პოლიტიკურ მიზანს. რაში გამოიხატება ეს? ამ პოლიტიკური მიზნის დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი, რა ღონისძიებაც არ უნდა დასჭირდეთ ამისთვის,—მიუსიონ გადასახლებულ, მოსულ ელემენტს. აი, ნამდვილათ რომ ვთქვათ, დედა აზრი, შინაარსი და მნიშვნელობა ამ პოლიტიკური მიზნისა. ამაში შეუძლია დარწმუნდეს ყველა, ვინც კი ადგილობრივათ ყოფილა და იმ დამოკიდებულებას გასცნობია, რომელიც არსებობს კავკასიაში გადმოსახლებულთა და ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთა შორის. თუ მხედველობაში მივიღებთ გადასახლებულთა და ადგილობრივ მცხოვრებთა უნუგეშო მდგომარეობას, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა ადვილი გასაღვივებელია შუღლი მცხოვრებთა ამ ორივე გადატაკებულ ნაწილთა შორის. აი, ნამდვილათ რომ ვსთქვათ, მხოლოდ ამ დანიშნულებას ემსახურება კავკასიაში გადასახლების საქმე. ყოველ მიუდგომელ ადამიანს, ვისაც კი შემთხვევა ქონია გასცნობოდა ამ საქმის მდგომარეობას იქ, შეუძლია მივიდეს ამ დასკვნამდე. სხვა მნიშვნელობა, სხვა დაფასება არ შეუძლია მისცეს ამ მოვლენას მიუდგომელმა ადამიანმა.

სხვათა შორის, მე შარშან აღვნიშნე, რომ დაბინავებულ მცხოვრებლებს ყრიდენ ერთხელ დასახლებულ ადგილიდან. ჩემდა განსაცვიფრებლათ, შარშან მე ამაზე არაფერი არ მიპასუხეს, წელს კი გადასახლების სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვაში მე ვხედავ, რომ ასეთ უფლებრივ შელახვას მართლაც ქონია ადგილი. არსებობს თუ არა ამ ჟამათაც ასეთი უფლების დარღვევა, ამის შესახებ ვილაპარაკებთ შემდეგ, როდესაც სახელმწიფო დუმაში შეკითხვას შევიტანთ გლეხების მდგომარეობის შესახებ სოხუმის ოლქში. ყოველ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა ის ფაქტი,—რომელსაც აღნიშნავს თვით გადასახლების სამმართველო და რომელიც მოწმობს, რომ მკვიდრ მცხოვრებთა უფლების დარღვევას არა ერთხელ ქონია ადგილი კავკასიაში. მიმართავენ დუმას წინადადებით, რომ მი-

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდის დაწყებამდე ე. ერმოლაევი გააცნობს საზოგადოებას განსვენებულის მოკლე ბიოგრაფიას.

◆ **დეპუტაცია ნამესტნიკთან.** თფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ, 16 თებერვლის სხდომაზე გადასწყვიტა მიმართოს ნამესტნიკს თხოვნით, რომ ნება დართოს უნივერსიტეტს ადგილობრივ ენებზე ლექციის კითხვისა. სათხოვნელათ აირჩიეს სამი წევრისაგან შემდგარი დეპუტაცია.

◆ **შეერთებული სხდომა.** 27 თებერვ., კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის სკოლების მასწავლებელთა შეერთებული სხდომა, რომელიც მოაწესრიგებს უნივერსიტეტის სასარგებლოთ მომავალ კონცერტის ბილეთების საქმეს. იმსჯელებენ იმაზე, თუ რა რიგით დაესწრონ კონცერტს სახ. უნივერსიტეტის სკოლის მოსწავლეები. კონცერტი 28 თებერვალს გაიმართება.

◆ **განმარტების მოთხოვნა.** ქალაქის საბჭოს კომისიამ, რომელიც ტრამვაის მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებს, დირექტორ ბატაილს მოსთხოვა შეატყობინოს მას, რატომ მოხდა, რომ 27 იანვარს ვაგონი № 78 გამოუშვეს მიუხედავათ იმისა, რომ ამ ვაგონს ტორმოზი გაფუჭებული ქონდა.

◆ **ტრამვაის კომისიის** უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა წინადადება მიეცეს ტრამვაის დირექციას გაადიდოს წყნეთის ლიანდაგზე ტრამვაის ვაგონების რიცხვი, რადგან აქ ხალხი ბლომათ იყრის თავს და ვაგონების სიმცირის გამო ხშირად მთელი საათობით ქუჩაზე ცდა უხდებათ.

◆ **ახალი ტორმოზი.** ლგოტაკის განცხადება ვაგონების მალე გასაჩერებელ ახალ ტორმოზის შესახებ ქალაქის გამგეობამ ტრამვაის დირექციაში წარადგინა განსახილველათ. ეს ტორმოზი ლგოტაკს გამოუგონებია.

◆ **სახალხო სახლი** დღეს სახალხო სახლში გაიმართება კონცერტი მუსიკალურ საზოგადოების სასარგებლოთ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ვან-ბრანდტი.

◆ **პოლიტიკურმა გადასახლებულმა თავი გაიხრჩო.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ვიატკის გუბ. ს. კაისში თავი დაუხრჩვია პოლიტ. გად. გ. გიორგაძეს.

◆ **სამართალში მიცემა.** თფილისის პოლიცმეისტერის დადგენილებით სამართალში მიცემულია პოლიციელი ვ. კრაინიჩენკო გლეხ ვარლამ ბუაძის შეურაცხყოფისათვის.

◆ **დეპ. გეგეჭკორმა** წერილი მიიღო მალდავანთა ჯგუფისაგან, რომლითაც თხოვენ მას „საყოველთაო სწავლის" საკითხის გარჩევის დროს სახელმწიფო სათათბიროში ნუ დაივიწყებს მოლდავანებსაც, რომელთაც აქვთ თავისი ენა და უფლებას მოკლებულნი არიან ისწავლონ და ილოცონ ამ ენაზე. წერილის ავტორები თხოვენ დეპუტატს დაიცვას საკითხი, რათა „მალდავანებსაც შეეძლოთ სამშობლო ენაზე" სწავლის მიღება.

◆ **ფუნიკულერზე მიმოსვლის დაწყება.** თფ. ფუნიკულერის გამგეობამ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ თუ კარგი დარები დადგება მარტიდან ფუნიკულერზე ვაგონების მიმოსვლა დაიწყებაო. ამის გამო ყველიერის უქმეებზე ვაგონებსა და ვაგონების ტორმოზებს შეამოწმებენ.

◆ **ხმოსნების კერძო თათბირი.** მიმდინარე წლის 1 აპრილიდან დაიწყება ქალაქის უძრავ ქონებათა ხელ-ახლა შეფასება. მომავალ კვირაში დანიშნულია ხმოსნების კერძო თათბირი, რომელზედაც დაასახელებენ შემფასებელ კომისიის წევრებს.

◆ **ჩხუბი და დაჭრა.** 13 თებერვალს ბაქოში საბუნჩაში, თათართა ორ მოწინააღმდეგე პარტიათა შორის, მოხდა შეტაკება და სროლა. სროლის დროს დაიჭრა 7 კაცი. დაჭრილნი არიან კერძო პირებიც. მსროლელნი შეიპყრეს.

◆ **ცეცხლი სასწავლებლის შენობაში.** ქუთაისიდან გვატყობინებენ: 12 თებერვალს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის შენობაში კინაღამ დიდი უბედურება დატრიალდა. უეცრათ ხმა გაისმა: „შენობას ცეცხლი წაუკიდესო". შეიქნა მოსწავლეების წივილ-კივილი, შენობაში საშინელი სუნი იდგა. წამლიან ბოთლების თავზე პატრუქები იპოვეს, რომელიც მალე ჩააქრეს. პოლიციელები მოვიდნენ. ეჭვით დააპატიმრეს მე-V კლასის მოსწავლე არეშიძე. გამოძიება სწარმოებს.

◆ **რედაქციამ წერილი მიიღო**, რომლითაც, პოლიტიკური გადასახლებულნი მ. კიკნაძე, სპ. ვაშაკიძე და ევგ. არჩვაძე მადლობას უცხადებენ მეტეხის ციხის პოლიტიკურ ტუსაღებს, რომელთაც თავიანთ შორის 19 მან. შეუგროვებიათ და ამ გადასახლებულთათვის გაუგზავნიათ, ენის. გუბერნიის ს. ხანდალაში. ფული იანვრის შუა რიცხვებში მიუღიათ.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

გული დაგვიკოდა ძვირფასი ალექსანდრეს უდროოდ დაკარგვამ. გურული მასწავლებლების გულიდან არასოდეს არ ამოიშლება სიცოცხლით სავსე, ენერგიული და ნიჭიერი ალექსანდრე ბახტაძის ხსოვნა.

ემელიანე ლომთათიძე, დ. ზ. თალაკვაძე ანეტა ჩხაიძე, ანნა მგელაძე, მ. ფაჩუაშვილი, დ. დამბაშიძე, დ. ფიცხიშვილი, ს. რუხაძე, ბ. ჯანიშვილი, ს. ბოლქვაძე, ს. ჯანიშვილი, აპ. წულაძე, მოსე თალაკვაძე.

ლოს ეს კანონი და სცნოს მისი დაჩქარებით განხილვის საჭიროება. რა დროს ხდება ეს? ეს ხდება იმ დროს, როდესაც კავკასიის მცხოვრებნი აგერ რამდენიმე ათი წელიწადია, რაც რეფორმების მოლოდინში არიან. კანონ-პროექტი კავკასიელ გლეხთა მდგომარეობის შესახებ აგერ ორი წელიწადია, ბატონებო, რაც უძრავათ დევს თქვენთან. დუმაში ერთი კაციც არ აღმოჩნდა, რომელსაც თავს ედო ამ კანონ-პროექტის შემუშავება, რადგან არ მოიპოვება ისეთი პირი, რომელიც რამდენიმეთ მაინც იცნობდეს საქმეების მდგომარეობას კავკასიაში. ამ კანონ-პროექტის დაჩქარებით განხილვა სურთ მიიღონ იმ დროს, როდესაც კავკასიაში ე. წ. ხიზნებს მემამულეები დასახლებული ადგილებიდან ერეკებიან. ამ კანონ-პროექტის დაჩქარებით განხილვას მოითხოვენ მაშინ, როდესაც რამდენიმე ათი წელიწადი მაინც იქნება, რაც კავკასიაში ერობის შემოღებას თხოულობენ და დღესაც ამის შესახებ არავინ ყურს არ იბერტყავს.

თქვენ დაამახინჯეთ ის პროექტი ერობის შესახებ, რომელიც მთავრობამ წარმოგიდგინათ. მაგრამ სახელმწიფო საბჭო ამითაც არ დაკმაყოფილდა: მან დამახინჯებული კანონ-პროექტიც კი ძალიან ლიბერალურათ მიიჩნია. აი, ამ დროს სურთ ამ კანონ-პროექტის დაჩქარებით განხილვის საჭიროება იცნონ. ისწრაფვიან, ბატონებო, ამ კანონ-პროექტის განხილვას იმ დროს, როდესაც მთელი გუბერნია კავკასიაში, სახელდობრ, ქუთაისის, შიმშილობას განიცდის მოუსავლობის გამო. საჭიროა, ბატონებო, ამ დამშეული ხალხის დახმარებაზე ვიფიქროთ. ერთი სიტყვით, შეუძლებელია ამ ჟამათ ჩამოვთვალოთ ყველა ის აუცილებელი საჭიროებანი, ყველა მომწიფებული კითხვები, რომელნიც მოითხოვენ დაუყონებლივ გადაწყვეტას. ამ კითხვას ყურადღება არ მიაქცია არც დუმამ და არც მთავრობამ. და ამავე დროს თქვენ გაწვდიან კანონ-პროექტს, რომლის დანიშნულებაა შუღლი და მტრობა დასთესოს გადასახლებულთა და მკვიდრ მცხოვრებთა შორის (მარჯვნიდან: სიცრუეა!"). ბატონებო, მე მგონია, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც თქვენ განაპირა ქვეყნებში სდევს, თამამათ შემიძლიან გითხრათ, ხეირს არ დაგაყრით (მარჯვნიდან: ჩვენ ეს მოვისმინეთ!) და ამ ნიადაგზე ამგვარი კანონ-პროექტებით თქვენ ვერასოდეს ვერ შექნით პირობებს ცენტრისა და განაპირა ქვეყნების მჭიდროთ დაკავშირებისათვის. ეს კანონ-პროექტი, ბატონებო, აშორებს ცენტრს განაპირა ქვეყნებისაგან, და არავითარ შემთხვევაში არ აკავშირებს. ამიტომ, მე მგონია, რომ ვინც ცენტრის განაპირა ქვეყნებიდან დაცილების პოლიტიკას არ თანაუგრძნობს, ის არასოდეს არ მისცემს ხმას ამ კანონ-პროექტის სასარგებლოთ. მე წინადადებას ვაძლევ ყველას, ვინც ამ პოლიტიკას არ თანაუგრძნობს, უარ-ყონ ეს კანონ-პროექტი. (მარცხნით ტაშის ცემა).

ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲟᲔᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ.

კომისარჟევსკაიას გარდაცვალების ამბავი სახელმწიფო დუმის დეპუტატებს მიუვიდათ ათ თებერვალს, სხდომის შეწყვეტის დროს. ამ ამბავმა ღრმათ დაამწუხრა დუმის ოპოზიციის და ცენტრის ბევრი დეპუტატები. „რ. უ." სიტყვით, ყოველი მხრიდან მოისმოდა მწუხარებით აღსავსე ხმები მომხდარი უბედურების გამო.

ის იყო არა მარტო დიდებული მსახიობი ქალი, არამედ—დიდებული ადამიანიც!—ამბობს დეპ. გეგეჭკორი.

ვ. ფ. კომისარჟევსკაიას სიკვდილი,—ეს ნაციონალური გლოვის თალხია, ისე, როგორც ვ. ფ. სიცოცხლეში ნაციონალურ სიამაყეთ იყო,—ამბობს დეპუტ. შინგარევი.

ტაშკენტში 11 თებერვალს კომისარჟევსკაიას გარდაცვალების გამო ყველა გასართობებში და თეატრებში წარმოდგენები გადაიდო. გაზეთები გამოვიდა სამგლოვიარო ჩარჩოებით შემოხაზულნი. 12 თებერვალს კომისარჟევსკაიას ნეშტი გადასვენებულ იქნა სასაფლაოს ეკლესიიდან რკ. გზის სადგურზე, პეტერბურგში წასასვენებლათ. კუბოს რამოდენიმე ათასი კაცი მიყვებოდა. გუბერნატორის განკარგულებით უკრავდა სამხედრო ორკესტრის მუსიკა. კუბოს ამკობდა მრავალი გვირგვინები, მიიღეს დიდ-ძალი სამგლოვიარო დეპეშები. კომისარჟევსკაიას გვამს პეტერბურგში მიასვენებენ 18 თებერვალს.

პეტერბურგში 12 თებერვალს ყველა თეატრებში და უმაღლეს სასწავლებლებში გადაიხადეს პანაშვიდები: დაესწრო ურიცხვი ხალხი. უნივერსიტეტში გაიმართა ხელის-მოწერა, რომ ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში დაარსდეს კომისარჟევსკაიას სახელობის სტიპენდია.

განსვენებულის ძმა ტაშკენტიდან იტყობინება, რომ კომისარჟევსკაიას სხეული მთლად ყვავილის მუწუკებით არის მოფენილი და ამ ნიადაგზე მოხდა სისხლის მოწამვლაო. კომისარჟევსკაიას ძმის და დის მსახიობ ქალის კარსკის, უნუგეშო მდგომარეობა აუწერელია.

პირველათ პეტერბურგის მთავრობამ ნება არ დართო, რომ კომისარჟევსკაიას გვამი პეტერბურგში მიესვენებიათ, რადგან ყვავილის გავრცელების ეშინოდათ. დიდი ხვეწნის შემდეგ, როგორც იყო, ეს ნება-რთვა მიიღეს. პეტერბურგში, კომისარჟევსკაიას ყოფილ თეატრის ფოიეში გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ სახელმწიფო დუმის წევრნი, პეტერბურგის ლიტერატორთა, მსახიობთა, სხვა ხელოვნების მიმდევართა მთელი შემადგენლობა. პეტერბურგის ლიტერატორთა და მსახიობთა ჯგუფს აზრათ აქვს ვ. ვ. კომისარჟევსკაიას სახსოვრათ გამოსცენ კრებული.

შესდგა კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწყოს შეხვედრა კომისარჟევსკაიას მოსვენების დროს. კომისარჟევსკაიას ნათესავებს დიდ-ძალი დეპეშები მისდით, რომლითაც უღრმეს მწუხარებას უცხადებენ მათ ვ. ფ. კომისარჟევსკაიას გარდაცვალების გამო.

— სარატოვიდან გაზეთ „ბაქო"-ს ატყობინებენ, რომ ეპ. გერმოგენმა ადგილობრივ ქალაქის თეატრის დრამატიულ დასს ნება არ დართო ვ. ფ. კომისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაეხადა. ეპისკოპოსმა განაცხადა: რომ საჭიროა ტაშკენტიდან ცნობა მქონდეს, იყო თუ არა განსვენებული მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა და თუ იყო —უთქვამს აღსარება და ზიარებულა თუ არა. ამას გარდა,—უთქვამს ეპ. გერმოგენს,—საჭიროა ტაშკენტიდან ოფიციალურათ მაცნობონ რამ გამოიწვია კომისარჟევსკაიას სიკვდილიო".

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ

პროტესტები პროვინციებიდან. სპარსეთის მეჯლისი პროვინციებიდან ყოველ დღე საპროტესტო დეპეშებს ღებულობს. სპარსელები წინააღმდეგი არიან გარეშე სესხის აღების.

ოსმალეთის ჯარებმა სრულებით გასწმინდეს სპარსეთის ტერიტორია და ოსმალეთში წავიდენ.

ᲐᲮᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ელჩების გაწვევა. საბერძნეთის მთავრობამ უკან გაიწვია უცხო სახელმწიფოებში დანიშნული საბერძნეთის ელჩები. ელჩების გამოწვევა მოითხოვა სამხედრო ლიგამ, რომელიც ელჩებს ბრალს სდებს უმოქმედობაში, რომ ისინი არ ცდილობენ უცხო სახელმწიფოებს გააცნონ საბერძნეთის საქმეების ნამდვილი მდგომარეობა.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ

დემონსტრაციები პრუსიაში. ფრანკფურტის სოციალდემოკრატების მიერ გამართულმა საპროტესტო მიტინგმა მშვიდობიანათ ჩაიარა.

მიტინგმა დაგმო პოლიციელთა თავხედური მოქმედება და საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა საარჩევნო რეფორმის იმ სახით გატარების შესახებ, როგორც ეს განზრახული აქვს მთავრობას. სოციალდემოკრატები მომავალშიაც აპირებენ მიტინგების და დემონსტრაციების გამართვას.

ბრესლავში გაიმართა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა პოლიტიკოსებმა და მოქალაქეებმა. მიტინგმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია იმ საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ, რომელსაც მთავრობა ხალხს ახვევს თავზე. მიტინგის შემდეგ გაიმართა მანიფესტაცია, პოლიციელებთან შეტაკება არ მომხდარა.

რუსეთი.

საქმე ყუმბარების შესახებ. პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ 12 წლ. კატორღა მიუსაჯა გლეხს სიტნოვს, რომელსაც ყუმბარების დამზადებას აბრალებდენ. სიტნოვის ბინაზე გასული წლ. სექტემბერში აფეთქება მოხდა.

ახალი რექტორი. როგორც ვიცით, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ბორგმანი სამსახურიდან გადადგა. მის ადგილზე პროფ. საბჭომ აირჩია უფროსი დეკანი, აღმოსავლეთის ენების პროფესორი ჟუკოვსკი, რომელიც უკვე შეუდგა რექტორის თანამდებობის ასრულებას.

„ხუმრობით". ათ თებერვალს პეტერბურგის ერთ სასტუმროში სტუდენტი გრაჩევი რამოდენიმე ქალთან ერთად ქეიფობდა. ერთ ქალს გრაჩევმა ხუმრობით ყურზე რევოლვერი მიადო და უთხრა — გესვრიო. ქალმაც ხუმრობით თანხმობა განაცხადა. გრაჩევმა ჩახმახს თითი გამოკრა და ქალი უსულოთ დაეცა მიწაზე.

პროფესორის დატუქსვა. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა, როგოვიჩმა ჟურნალ „სადვთისმეტყველო ენციკლოპედიის" რედაქტორს, პროფ. გლუბოკოვსკის შენიშვნა მისცა იმის გამო, რომ მან ჟურნალში მოათავსა ეპ. კირიონის სურათი და მისი სადვთისმეტყველო შრომის მიმოხილვა. პრ. გლუბოკოვსკიმ როგოვიჩს უპასუხა, რომ ის არასოდეს არ ურევდა ერთი მეორეში მეცნიერებას და პოლიტიკას და ამიტომ შეუძლებლათ მიაჩნდა არ აღენიშნა ყველასაგან ცნობილი სამეცნიერო-სადვთისმეტყველო მოღვაწეობა ეპ. კირიონისა.

პროფესორი გლუბოკოვსკი თავისი პოლიტიკური რწმენით მემარჯვენე პროფესორების ჯგუფს ეკუთვნის.

ლიახოვი კავკასიაში. გაზეთ „ნოვოე ვრემიას" დეპეშით ატყობინებენ, რომ ახლო მომავალში პოლკოვნიკი ლიახოვი თფილისის პოლკის უფროსათ დაინიშნებაო.

პირველ-დაწყებითი განათლება. სახ. დუმის სახალხო განათლების კომისიამ განიხილა კანონ-პროექტი პირველ-დაწყებითი განათლების შესახებ და დაადგინა, რომ ყველა შკოლების ხელმძღვანელობა მიენდოს მხოლოდ სასწავლებელთა საბჭოებს.

სამრევლო შკოლები. სამრევლო-საეკლესიო შკოლების შესახებ გამართულმა თათბირმა ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა, რომ საეკლესიო შკოლები დაექვემდებარონ სახალხო განათლების სამინისტროს.

ახალი საზოგადოება. პეტერბურგში სდგება ქალთა ახალი საზოგადოება ამ სახელით: „ქალთა უფლების დამცველი საზოგადოება". ახალი საზოგადოება იურიდიულ დახმარებას გაუწევს ქალებს. ქალთა იურიდიულ კონსულტაციებს დაარსებენ ყველა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში და სოფლებშიაც. „როსიის" სიტყვით საზოგადოების ხელმძღვანელობა იკისრეს პროფესორებმა: ფოინიცკიმ, პეტრაჟიცკიმ, კუზმინ-კარავაევმა და სხვ.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

სადგური ეჩმიაძინი. აქაური მოსამსახურეების ცხოვრება მეტად აუტანელია. აგერ სამი წელიწადი იქნება, რაც ბ-ნი შკრილაძე დაინიშნა სადგურის უფროსათ. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათი მოსამსახურე ზოგი დაითხოვა, ზოგი ჩამოაყენა დაბალ მოსამსახურეებათ. მას დაუმეგობრდა ცნობილი და გავლენიანი მოვაჭრე და საქონლის მიღება და გაგზავნა თვითონ იკისრა. ამ ნაირათ ბ. შკრილაძე თან სადგურის უფროსია, თანაც კომისიონერი.

მან როგორც კომისიონერმა, რასაკვირველია, უნდა დაიცვას საქონლის პატრონების ინტერესი, ამიტომაც რა დროსაც არ უნდა მოიტანონ საქონელი, ის აგდებს მეკანტორეს აუცილებლად მიიღოს საქონელი, გადასწონოს და და სხვა. თუ მეკანტორემ კანონის ძალით გაუწია წინააღმდეგობა—ვაი მის დღეს—მას მოელის, როგორც უნდა, ან დათხოვა, ან ჩამოქვეითება დაბალ სამსახურში. ამნაირად, საქონლის მიღება გრძელდება აქ ღამის 9—10 საათამდე.

ცდილობს რა დაიცვას გამგზავნელების ინტერესი (აქედან უფრო ღვინო იგზავნება) იღებს მას ცუდ და ძველ ბოჭკებით, ეს უკანასკნელი იწვევს აურებელ ოქმების შედგენას ბათუმ-ფოთში, რადგან ბოჭკების უვარგისობით ღვინო წონაში აკლდება. ამაში ბოლოს დამნაშავეთ რჩება, სამსახურის წესით, სრულებით უდანაშაულო მეკანტორე, რომელიც ასრულებს მხოლოდ ბ-ნ შკრილაძეს ბრძანებას. ბ. შკრილაძე დევნის კერძო კომისიონერებს, როგორც მის მეტოქეებს; რამოდენიმე კომისიონერი გაძევებულია აქედან; რამოდენიმე [illegible] პატრონს გამოგდება [illegible].

თუ ვინმე გაბედა და მიუთითა ამნაირ მის საქციელზე—სამუდამო-სასიცოცხლო მტრათ გამოუცხადებს მას ბ. შკრილაძე.

სწორედ ამ ნიადაგზე იყო, რომ ბ-ნი შკრილაძე გაცოფებული შევარდა კანტორაში, როდესაც მისი თანაშემწე ბ-ნი ც—ია მოსამსახურეებს უხსნიდა მათ მოვალეობას სამსახურში და დაუწყო უწმაწური სიტყვებით ლანძღვა გინება.

— „ტი ზაბასტოვშჩიკ, არესტანტ!" არიგებ მოსამსახურეებს, რომ გაფიცვა მოახდინონ? მე შენ გაჩვენებ! როგორ უნდა უბედოთ და სხვა. თან გასცა ბრძანება დაჩქარებით მოეწვიათ ჟანდარმი.

მაგრამ ბ-ნმა შკრილაძემ ვერ შესძლო მუქარის სისრულეში მოყვანა, რადგან ბ-ნ ც—ას სიმართლე დამტკიცდა. მაგრამ დაუცხრომელი შკრილაძე ამით როდი დაკმაყოფილდა. მან ცილი დასწამა ბ. ც—იას და ოქმი შეუდგინა რაღაც საქონლების საბუთების მოპარვაზე. ც—იამ შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს, რომ ნება მისცენ მას ბ-ნი შკრილაძე მისცეს პასუხის გებაში ცილის წამებისათვის.

არა ნაკლებ განსაცდელში არიან ბ. შკრილაძეს ხელ-ქვეით საქონლის საწყობ სადგურის მუშები. არ არის განსაზღვრული მათი სამუშაო დრო: დილიდან ღამის 8—9 საათამდე ეზიდებიან საქონლებს 16 მ. თვეში. მათი ქირის ფასად საქონლების მიმღებ-გამგზავნელებს ახდევინებს, ბ-ნი შკრილაძე ცალში თითო შაურს და 40 კ. ბოჭკაზე, რაც შეადგენს 450—550 მან. რაც გადარჩება მუშების ქირას; სად უკრავს თავს ვერავინ გაიგებს, რასაკვირველია, მის მეტი.

ერთი სიტყვით, აუტანელია აქაური მოსამსახურეების ცხოვრება.

მართალია, ბ. შკრილაძეზე ბევრჯერ აღძრეს კომისიონერებმა საჩივარი, მარა რაღაც განგებით საქმე გადააფუჩეჩეს და ამან უფრო მეტათ გაათამამა მისი თვით-ნებობა.

ბზიკი.

ხიდისთავი (გურია). 10—15 წლის წინათ ხშირათ გაიგონებდით ამა თუ იმ პირისაგან, რომელსაც ხიდისთავის ბაზრით უხდებოდა სადმე წასვლა: „მაგ გავლას ყველაფერი მირჩევნიაო". მგზავრის ასეთი ჩივილი უსაბუთო არ იყო. არ შეიძლებოდა, რომ მის გავლას რაიმე ხმაურობა არ გამოეწვია ბაზარში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ცნობილი იყო. ქალი ხომ არასოდეს შუა ბაზარში არ გაივლიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სანამ ბაზარს ჩაივლიდა, ვაჭრების და ნოქრების ერთი ნაწილის სასაცილოთ დასამარხათ უნდა გაეხადათ თავი. ვინ მოსთვლის იმ ათასნაირ მასხრობას, სხვადასხვანაირი სახელების გამოგონებას, ყვირილს, ყიჟინას, რომელსაც ამას იმ დროს ჰქონდა ადგილი. წავიდა ის დრო. ასეთი საქციელის მოგონებაც კი ამოშალა ყველას მეხსიერებიდან. თუ ხსენებულ ბაზარში წინათ გავლას გაურბოდენ, სამაგიე-

რით, უკანასკნელ წლებში ის ქუჩა, რომელზედაც დუქნებია გაშენებული ერთ-ერთ საუკეთესო სასეირნო ადგილათ გახდა, როგორც ხიდისთავის, ისე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთათვის. მაგრამ მედუქნეების ერთს მეტის მეტათ მცირე ნაწილს მოუსურვებია წარსული დროს დაბრუნება და რადგანაც მათ დიდ წინააღმდეგობას უწევენ დანარჩენი ვაჭრები, მათ გამოხსნეს ზოგიერთი ძმა-ბიჭები სოფლებიდან ამ საქმის უფრო საწარმოებლათ. ეს ერთი წელია ხიდისთავში დაიწყო ვაჭრობა ივლ. კალანდაძემ. ის საკმაოთ მოხუცებულია და მხედველობაც საგრძნობლათ დაღატობს. ასწიეს და თუ ვინმეს კი გააჩნდა „ბრაკი“ გადალესილი ფული (როგორც ამას სოფელში ეძახიან) სულ ყველა მასთან მიზიდეს. ეს არ აკმარეს. გამოუგონეს რადაც სახელი: „ბლადოჩინი, ყოჩი, ფოფოჩინი“. დალამდება თუ არა, ამ საქმეში მეტათ დახელოვნებული არმია დაიწყებს ზემო მოყვანილ სიტყვების ყვირილს. ყოველ კუთხიდან გაისმის ხმა. რამდენი არ ევედრა, რამდენი არ სთხოვა კალანდაძემ ამ პირთ, ჩამომეხსენით, ნუ მიძახით მაგ სახელსო, ეს მეტის მეტათ მაღელვებსო, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. ვაჭართა კრებამაც არა ერთხელ მიმართა წინადადებით ამ პირებს, ჩამოეხსენით, თქვენი საქციელი ჩვენც გვიტეხს სახელსო, მაინც არაფერმა იმოქმედა. ბოლოს კალანდაძე დაემუქრა, არ გზოგავ არავის, ვინც დამიძახებს ამ სიტყვებსო. ერთ საღამოს, როცა ყვირილი ასტყდა ყოველი მხრიდან, მან, გონებადაბნეულმა აიღო კეტი და სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდას დაჰკრა თავში. უკანასკნელმა საჩივარი აძრა კალანდაძეზე და ამ დღეებში მომრიგებელმა მოსამართლემ მას ერთი თვის ციხე გადაუწყვიტა.

ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს ამ ვაჟბატონებმა ეს საწყალი მოხუცი. აცემიეს სრულიად უდანაშაულო კაცისთვის და ერთი თვე ციხეში უნდა იჯდეს, ისინი კიდევ განაგრძობენ თავის სამარცხვინო საქციელს. და ამას სჩადიოდენ მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდები და ამ გზით საარულს ასწავლიან 5—6 წლის ბავშვებსაც. ნუ თუ არ გაწითლდებით თქვენი უმსგავსო საქციელი?

იბრაგიმ.

—

ს. ლიხაური (გურია). აქაური ახალგაზრდობა გათენდება თუ არა, შეუდგებიან ერთმანეთის ძებნას. იერიან თავს ბუჩქებში და გატაცებით ეწევიან კარტის თამაშს. ამ უბედურების მსხვერპლი ხდებიან 10, 12 და 14 წლის მოზარდი ყმაწვილები, რომლებიც ხშირათ ბუღზე კვერცხს იპარავენ და ისე თოულობენ სათამაშო ფულს. ლოთობას ნულარ იკითხავთ. ისე დღე არ გაივლის, რომ სადმე ერთი ან ორი ახალგაზდა ყმაწვილი არ გდოს თხრილში გალეშილი. ამას წინათ აქ ერთი სამწუხარო ამბავი დატრიალდა. ლიხაურის მამასახლისი სილოვან თოიძე თავის ამხანაგებითურთ ბარნაბ რუსეიშვილთან და სხვ. ქეიფობდა ერთ ოჯახში, შეზარხოშების შემდეგ ერთმანეთში ლაპარაკი მოუვიდათ, მაგრამ მათ დამშვიდდენ. როცა ძალზე შეთვრენ, ვიღამაც მამასახლისს რევოლვერი მოპარა. გაიგო თუ არა ეს მან, იმ წამსვე აფრინა კაცი მის თანაშემწესთან, რომელიც იმ დროს შინ არ ყოფილა. გაბრაზებული კომპანია წასულა თანაშემწის სახლში კარები დაუმტვრევიათ და შიგნით ყველაფერი აუოხრებიათ. აქედან გადასულან მეზობლის ოჯახში. იქაც კარებ-ფანჯრები დაულეწიათ. მესამე მეზობლისას მარტო ძალზე მოხუცებული კაცი დახვედრიათ სახლში, იმასაც კარები ჩაუმტვრიეს. მეორე დღეს დაზარალებული პირები მივიდენ მამასახლისთან საჩივლელათ, მაგრამ განუცხადა თუ არა ბ. სილოვანმა მე ვიყავი თქვენს სახლებშიო, გაჩუმდენ. არ გაუარია ცოტა ხანს ასტყდა, ზარების რეკა. ყველას შიშისაგან თავზარი დაეცა. მორბიან სოფლელები კანცელარიისაკენ. გზაში ყველა ერთმანეთს ეკითხება ნეტა რა ამბავია რა მოხდა?? და სხვა... მოიყარეს თავი და ფორმალური ეროლობაც შესდგა. მამასახლისმა გამოუცხადა ხალხს: წუხელის რევოლვერი დამეკარგაო. მოასვენებია ხატი. და შეუდგა საზოგადოების წევრების ფიცებას, მაგრამ სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა მისი ლოთობის გზა-კვალის მცოდნე. ერთი სიტყვით, შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა მთელი სოფლის ტანჯვა ამ დღეს. საღამოს შებინდებისას იპოვეს დაკარგული რევოლვერი აივანზე შემოდებული, რის შემდეგ საზოგადოება დაიშალა და მით თავი იხსნა მამასახლისისაგან. ბ. სილოვანმა სიხარულით იმ დამესვე განაგრძო ქეიფი.

ბუკს.

—

სამტრედია. კვირას, 7 თებერვალს რკინის გზის დარბაზში მთავრობის ნებართვით მოხდა კრება. არჩეულმა კომისიამ წარმოუდგინა მას დასამტკიცებლათ წინასწარ შემუშავებული წესდება სამტრედიის სცენის მოყვარეთა ჯგუფისა. კრებამ განიხილა წესდება და ზოგიერთი შესწორების შემდეგ დაამტკიცა ის. დასასრულ აირჩია ფარული კენჭის ყრით 9 კაცისაგან შემდგარი გამგეობა და 3 კაცისაგან სარევიზიო კომისია. გამგეობის წევრებათ გავიდენ: ისიდორე სტურუა, გრიშა ურუშაძე, გიორგი სიხარულიძე ალექსანდრე კორძაია, გიორგი დუნდუა, ს. სულაქველიძე, გიორგი ჩხეიძე, გ. ნაცვალაძე და იუს. ხონელიძე. სარევიზიო კომისიაში—ბარნაბ სურგულაძე, ელისო კალანდაძე და ა. მამაგეიშვილი. სცენის მოყვარეთა ჯგუფს მიზნათ აქვს სისტემატიურათ მართოს სამტრედიაში იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენები.

პროვოკატორებმა სამტრედიის რაიონშიაც იწყეს მოქმედება. აღმოჩნდენ ისეთი ნაძირალები, რომლებიც თხზავენ სამტრედიის დეპოს მუშების წინააღმდეგ სხვადასხვა უმსგავსო ჭორებს. 6 თებერვალს დეპოს უფროსს საჩქაროთ გამოუძახა გზის უფროსმა გენერალ ნეიგებაუერმა და გადასცა შემდეგი: „საწმუნო წყაროდან მივიღე ცნობა, რომ სამტრედიის დეპოს მუშებს გადაუწყვეტიათ ჩემი და ინჟინერ ცამუტალის მოკვლა, ამისათვის გამოუცხადე მათ: ერთი სიტყვით თუ ვინმე მოკვდა იარაღით მთელ რკინის გზაზე ან-და ერთი ბალანიც რომ დამვარდეს ან მე ან ინჟინერ ცამუტალს სამტრედიის დეპოს მუშებიდან მხოლოდ სველ ადაგს დავტოვებ“. მასთან მოსთხოვა სია იმ პირთა, რომლებიც 25 იანვრიდან არ დადიოდენ დეპოში სამუშაოთ. 7 თებერვალს ბ. მაქსიმოვსკიმ მოუყარა თავი მუშებს და ნეიგებაუერის ბრძანება გადასცა შეკრებილმა მუშებმა სასტიკი პროტესტით უპასუხეს. ასეთ პროვოკატორულ მითქმა-მოთქმას და დაავალეს მასვე პირადათ გადაეცა გენერლისთვის, რომ არავითარი მოკვლის გადაწყვეტილება არ მიუღია მუშებს ეს არის პროვოკატორების მოქმედება და სხვა არაფერი. ჯერ კიდევ არავინ იცის რა შედეგი მოყვება ამ პროვოკაციას.

ბუკო.

მუშათა შორის

თფ. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს საქვაბო განყოფილება. ნათქვამია—„უბედურ კაცს ქვა ადმართში მიეწიაო“ სწორეთ ჩვენზე არის ეს ანდაზა ზედ-გამოჭრილი. კვირა არ გაივლის ისე, რომ რაღაცა არა-ჩვეულებრივი არ გამოკვიცხადონ: ეს და ეს გაგიფუჭებიათ, არაფერს ყურადღებას არ აქცევთ და სხვა: თუ პასუხის გაცემა გაბედე, კრამოლნიკი ხარ. ამ სახით სხვა ცეხების ხელოსნებთან შედარებით მეტათ თავი ისახელა საქვაბო ცეხის ხელოსანმა ნ. ა. სკოკოვმა, ამ რამდენიმე თვის წინათ ერთს მუშას დაეცა რკინა და მასტერმა ოქმი შეადგინა, დაიბარეს მოწმეები. მათ ჩვენება ისე მისცეს, როგორც მოხდა საქმე, ხელოსანს კი სულ სხვანაირათ შეადგინა ოქმი, ამიტომ ყველა მოწმეებს საყვედური გამოუცხადეს წინააღმდეგ ჩვენებისათვის. ნ. ბ—ს დაუზიანდა მუშაობის დროს ხელი. ბ-ნმა მასტერმა ოქმის შედგენაზე უარი უთხრა და თან დაუმატა: „თუ გინდა იმუშავე და თუ არა, მიბრძანდიო“.

ამ რამდენიმე თვის წინათ სახელოსნოში შემოვიდა სარემონტოთ ორთქლმავალი, როგორც პარაოზს ისე ტენდერს უნდოდა რემონტი, მაგრამ ეკონომიის მიხედვით ბაკი, სადაც წყალი იმყოფება, უყურადღებოთ დატოვა მასტერის თანაშემწემ და თვით ბრიგადერმა, წინააღმდეგ ბრიგადისა, გაუშვეს ისე ურემონტოთ. რამოდენიმე ხნის შემდეგ იმ დეპოდან, საიდანაც პარაოზი იყო, იწერებიან, რომ ბაკი არ ვარგაო. მასტერმა ჯავრი იყარა ბრიგადაზე ე. ი. მუშებზე და აკეთებინებს ბრიგადას თავის ხარჯზე, ვითომც ბრიგადის ბრალი იყვეს.

9 თებერვალს გამოაკრა განცხადება, სადაც აუწყებს მუშებს, რომ სამუშევარი არის და მუშები ვერ ასწრებენ როგორც „პარაოზებს“ ისე ტენდერებზე და ამის მიზეზი არის ის, რომ აცდენენ დღეებს. ამისათვის ვაცხადებ, რომ ვინც საპატიო მიზეზებს ვერ წარმოადგენენ. ისინი პირველ შემთხვევაში იქნებიან დაჯარიმებული, მეორე შემთხვევაში სულ დათხოვნილი და მის ადგილზე კი სხვები იქნებიან მიღებულიო. საქმის შეფერხების ნამდვილი მიზეზი ის არის—თვითონ და მისი მოყვანილი მუშები თვრებიან და მთელი დღე ქვაბებში სძინავთ, თუ რამე გაფუჭდა მუშებს აბრალებენ. საქმის მოსწესრიგებლათ საჭიროა 5—6 კაცის მაგივრათ ბრიგადა 20—25 კაცისაგან შესდგებოდეს. მეორე ბრიგადას უნდა ხელმძღვანელობდენ მცოდნე კაცები. ყურადღება უნდა მიექცეს სიმთვრალეს და ქურდობას, კანტორის გამგე იქნება ხელოსანი თუ უბრალო მუშა. თავის დროზე იქნას შემოწმებული ორთქლმავალი, როდესაც შემოდის გასაკეთებლათ და თავის დროზე იქნას ჩაბარებული. უმთავრესი ყურადღება კი იარაღს უნდა მიექცეს.

ალი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთ „ახალ სხივში“. გაზ. № 6 მოთავსებული იყო წერილი ვასო ურუშაძისა, რომელიც აფრთხილებს ბათუმის საზოგადოებას, ვითომ მე შეცდომაში შემყავს საზოგადოება და ვატყუებდე, რომ მე არტისტობის მოწმობა არა მქონდეს. ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია და თვით ვასო ურუშაძეს შეჰყავს ბათუმის საზოგადოება შეცდომაში. მე არტისტობის მოწმობა მაქვს თვით დრამატიულ საზოგადოებისგან, რომელიც თვით ვასო აბაშიძემ, დიმიტრი დუმბაძემ და სხვებმა იციან. ჩემი არტისტობის მოწმობა აღებულია 24 ივლისს 1907 წელს, მოწმობის № 97., ხელი უწერიათ წევრებს და დრამატიული საზოგადოების ბეჭედიც ზედ აზის.

კ. ი. მჭედლიშვილი.

—

გაზ. „მომავალის“ № 125-ში მოთავსებული იყო წერილი რედაქციის მიმართ ჩემდა საპასუხოთ. თითქოს ჩემ მიერ მოთავსებული კორესპონდენცია გაზ. «ბატუმსკია ვესტი»-ზე მომუშავე ასოთ-ამწყობების ცხოვრებიდან და ახლად გახაზეინებულ ვ. ჩანტლაძე და ნ. ხვინგიას შეუფერებელ მოქმედებაზე, „მომავლის“ 100 №-ში მოთავსებული, სიმართლეს მოკლებული იყოს და ცილის წამება, რისთვისაც მიწვევენ სამედიატორო სამართალში და თან მეკითხებიან შემდეგს:

1) შევამცირეთ თუ არა ჩვენ შტატი გაზ. «ბატუმსკია ვესტი»-ზე, 2) მოუმატეთ თუ არა სამუშაო ნორმას; 3) არ ვამუშავებთ თუ არა უმუშევართ; 4) მუშაობენ თუ არა-ზედმეტს ღამის 7 საათამდის და სხვ. რომ ყოველივე ეს გამოირკვეს, საპიროთ სცნობენ მედიატორების საშუალებით საქმის გამორკვევას. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელზე საწინააღმდეგო მე არაფერი არ მაქვს და პირიქით, მოხარულიც ვიყავ ყოველ შემთხვევაში და ვარ დღესაც, მაგრამ მინდა შევეკითხოთ ბ. ბ. ვ. ჩანტლაძეს და ნ. ხვინგიას სად იყვენ ამ დრომდის? მას შემდეგ აგერ ერთი თვეა, რაც ჩემი კორესპონდენცია დაიბეჭდა და თუ გნებავდათ ჩემი სამედიატორო სამართალში გამოწვევა და საქმის ნათელის ყოფა, რაღა მაინცა და მაინც ისეთ დროს გამომიწვიეთ, როდესაც იქ არ ვიმყოფები და არც შემიძლია ამ დროებში ვიყო. ახლა ბრალდებებზე.

1) წინეთ გაზეთზე მომუშავე შტატში ირიცხებოდა არა ნაკლები ათი ასოთ-ამწყობისა, ეხლა კი, როდესაც ჩემი წერილი დაიბეჭდა მუშაობდენ რვა და ამათში კიდევ სამი ისეთი ირიცხებიან, რომლებიც შეგირდებათ ითვლებიან ჯერ კიდევ; ამასთან ერთად, ერთი იქ მომუშავე ასოთ-ამწყობი, რომელიც 20—25 წელია მუშაობს და მოწინავე მუშათ ითვლება ქუჩა უჩვენეს მისთვის, რომ ფხიზელი გონების მუშა იყო და ასეთი მუშა მათ არ მოსწონდათ, რაიც არა ერთხელ უთქვამთ თავისი პირით. თუ შტატი არ შეგიმცირებიათ, მაშ, სად არის გარდა რვა კაცისა?

2) წინეთ სავალდებულო იყო თვითეულ ასოთამწობს ამოეწყო ორი კალონა ციცერო და კალონა და სამი მეოთხედი კორპუსი. ეხლა კი აწყობენ ორ და ერთ მეოთხედს ციცეროს და ორ კალონა კორპუსს. რა არის ეს თუ არა ნორმის მომატება?

3) წინეთ მუშებს უფლება ეძლეოდა თავის ადგილზე რომელიმე უმუშევარი ამხანაგი ემუშავებინა, მაგრამ ერთ კვირა დღეს «პალუჩკის» დროს ბ-მა ჩანტლაძემ და ხვინგიამ გამოუცხადეს მუშებს, რომ მათ ადგილას არავინ ემუშავებიათ. მას შემდეგ კი არც ერთ უმუშევარ ასოთ-ამწყობს არ უმუშავებია, მართალია თუ არა ეს?

4) ჩემს კორესპონდენციაში ვამბობდი სხვათა შორის, რომ ამუშავებენ შეგირდებს. აძლევენ 20—25 მანეთამდე და ნორმის აწყობას კი მოითხოვენ, ნორმას ვერ ასწრობენ და ღამის შვიდ საათამდის უხდებათ მუშაობა, ასეთი შემთხვევა ხშირი იყო, რასაც თვითონ ის მუშები დაამტკიცებენ, რომლებსაც ღამის შვიდ საათამდის უხდებათ მუშაობა. აი ყველა ამ ბრალდებებში უნდა გაიმართლონ თავი. რაც შეეხება სამედიატორო სამართალს, თქვენ გქონდათ დრო, სანამ მე მაქ ვიმყოფებოდი გამოგეწვიეთ და მეც მზათ ვიყავი ყოველ შემთხვევაში თუ კი თქვენ მოისურვებდით. დღეს კი, მე როგორც უმუშევარი დღეს ერთ ქალაქში ვარ და ხვალ მეორეში და საიდან შემიძლიან ყოველ მხრივ შევიწროებულ უმუშევარს თქვენს სურვილზე, როდესაც თქვენ მოგესურვებათ მაშინვე იქ გავჩნდე! თქვენ კარგათ იცით, რომ მე დღეს არ შემიძლია სხვა დასხვა მიზეზების გამო (რომლის აქ აღნიშვნა შეუძლებელია) გაჰყვეთ სამართალში და ამით გინდათ ფონს გასვლა და ამიტომაცაა, რომ ასეთ დროს გამომიწვიეთ სამართალში. არ იფიქროთ კი, რომ მე გავურბოდე სამართალს, მხოლოდ დღეს კი პირობები არ მიწყობს ხელს.

ას.-ამ. სანკანიძე.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

დიდ მადლობას ვუცხადებთ

პატივცემულთ პაშა, დოსია იოსელიანებს ჩიქოვანებისას, მ. ალაშვილს, დ. ხასანოვს, ესტატე, ნოე და კოლია ჩიქოვანებს, თედო კერესელიძეს, და აგრეთვე სარეპტის ქართველ არტელს; რომლებმაც ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება და პატივისცემა არ დაიშურეს, უდროოვთ ახლათ გარდაცვალებულის—ვანო გ—ძე გოგიბერიძისადმი. რომელსაც წუთი სოფელმა წილათ არგო სარეპტის რკინის გზის სასაფლაო 6 თებერვალს. ჰარმენ გოგიბერიძე მარიან კობალაძე. 1—1

ვიღებ

ყოველნაირ საკერავს

კაბებს და თეთრეულს, ამასთან ვიყვან შეგირდებს ყოველნაირ ხელოსნობისას. 0—1

მიხაილოვის ქუჩა № 23 მ. მელიტაური

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—1)

მატარებლების მიმოსვლა
15 ოქტომბრიდან 1909 წ.
საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

თფილისიდან გადის

ბაქოსკენ: საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით; სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

ბათუმისკენ: საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

თფილისში მოდის

ბაქოდან: საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზავრო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

ბათუმიდან: საფოსტო № 4, 10 ს 40. წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

თფილისიდან გადის

მიხაილოვოში: სამგზავრო-საქონლის № 9, 3 ს. 23 წ. დღით.

თფილისში მოდის

მიხაილოვიდან: სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

ყარსის გზაზე

თფილისიდან გადის: საფოსტო № 74/7 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

თფილისში მოდის: საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო საქონლის № 80/81 ერევნიდგან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ლვ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან 4 ს. 48 წ. ღამით.

მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

ადრესი: კირპიჩნი პერეულოკი, № 2·

---

13 დეკემბრიდან თფილისში გამოდის ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

„ს ხ ი ვ ი“

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი, ლექსები, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ: აზიანი, აბოსპირელი, გელა, გომართელი, იასამანი, ირეთელი, ლალიონი, ლეო, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ნიკოლაიშვილი, რაედენიძე, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი და სხვანი.

პირველ ნომრიდან იბეჭდება ივ. გომართელის კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით 5 მ., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., ერთი თვით 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ., ვინც ამ თავიდან გამოიწერს და თებერვლის გასვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს, პირველ პრემიათ მიეცემა—სტეპენიაკის მოთხრობა „**ხახლი ვოლგის ნაპირზე**“. მეორე პრემიათ ირეთელის ახალი პიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს, ამასთანავე დეკემბრის ნომრებიც უფასოთ გაეგზავნება. მეორე—აგვისტოს დამლევს.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. «მომავალი»-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან; წიგნის მაღაზია «ალიონში» ვ. გადილიასთან, კიროჩნი ქუჩა № 9; სტამბა «პეჩატნოე დელო»-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კილაძესთან.

ქალაქ გარეთ ქუთაისში: წიგნის მაღაზია „იმერეთში“, ის. კვიცარიძესთან; სამტრედიაში რკ. გზის შკ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში რკ. გზ. შკაფში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში მასწ. ვ. ხუროძესთან; ჩოხატაურში წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; ხიდისთავში მასწ. ე. ლომთათიძესთან; სადგურ აჯიქაბულში ვ. ყიფიანთან და რკ. გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: **Тифлисъ, типографія „Печатное Дѣло“, Вельяминовская № 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе.**

წელიწადი 1910 წლისათვის **მეორე.**

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე



ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

პრემიათ გაეგზავნება

ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანოს პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

სტამბა „შრომა“, რუსის ქუჩა № 3.